
განმარტება 13/03/2024 წლის N18-01240733583 წერილში დაფიქსირებული პოზიციაზე:

განახლებული განთავსსების სქემით, აღნიშნული მცენარეების, N24 და N65 -ის არც მოჭრა და არც გადარგვა აღარ იგეგმება. საპროექტო ობიექტი მსუბუქი კონსტრუქციის იქნება, და წერტილოვანი კონსტრუქციის საძირკველი გვაძლებს საშუალებას დაცული იყოს საძირკველთან 3 მეტრიანი დაშორებები.
მცენარე N26 - გადაირგვება და დაცული იქნება 3 მ.-იანი დაშორება შენობიდან.


გადასარგავი ხე-ნარგავები
მცენარე N 26, 14; 16; 17; 34; 36; 37;
მოსაჭრელი ხე-ნარგავები
ბეტ.
ა
543.78
543.74
543.75
543.39
543.30
543.24
543.77
543.81
543.71
543.72
543.74
543.68
543.66
543.43
543.71
543.68
543.74
543.72
543.58
543.56
543.00
543.89
540.95
543.14
543.16
543.03
541.47
544.09
543.03
543.79
542.74
540.69
543.26
543.59
539.32
540.16
540.71
539.01
544.03
544.24
+3.50
+0.00
ფილები
ფილები
4618400
4765000
01.14.06.006.079
საპროექტო ტერასული შენობის განთავსების ადგილი
შენიშვნა:
ვინაიდან შენობას ექნება წერტილოვანი საძირკველი
მცენარეებთან N 18; 20; 24; 43; 44; 45; 46; 47 ;65; 66; 67; 68; 69;
დაცული იქნება 3 მეტრიანი დაშორება საძირკველთან
მცენარე N 26 გადაირგვება

დიდი ზომის ხე-მცენარეთა გადარგვის მეთოდოლოგია

მცენარეების ზომა 25-სმ-ზე მეტი

საკადასტრო კოდი:01.14.06.006.133
გადასარგავი მცენარეები: N 26 მინდვრის თელა (Ulmus foliaceae) - D – 41.4 სმ., სიმაღლე - 8 მ.
მესაკუთრე: სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ნიადაგის მომზადება

გადასარგავი ტერიტორიის ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

ხე–მცენარის ამოღება და დარგვა;


1. დასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი განისაზღვრება გადასარგავი მცენარის ღეროს დიამეტრიდან და კომის სიდიდიდან გამომდინარე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასურველია გაითხაროს 2.9 – 3,0 მ., ხოლო სიღრმე 1.9–2.0 მ.;
2. ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
3. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
4. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 – 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
5. გადასარგავი მცენარის ამოღებამდე უნდა მოხდეს მისი გასხვლა, რათა მცენარემ უკეთ შეძლოს შემდგომში გახარება, უნდა მოცილდეს ვარჯის დიდი ნაწილი.
6. მცენარის ამოღება უნდა განხორციელდეს სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, კომით, და კომის ზომა მცენარის დიამეტრზე არანაკლებ 3-ჯერ დიდი უნდა იყოს, ამ შემთხვევაში კომის დიამეტრი იქნება არანაკლებ 2.8-2.9. ხოლო კომის სიმაღლე არანაკლებ 1.7-ისა (ღეროდან 3 -ჯერ დიდი მანძილი უნდა გადაიზომოს - ამ შემთხვევაში 123 სმ, თვითონ კომის დიამეტრი კი 287 სმ იქნება)
7. მცენარე შესაბამისი ტექნიკის დახმარებით ფრთხილად უნდა გადავიტანოთ წინასწარ მომზადებულ ორმოში. იმისთვის რომ კომი არ დაიშალოს შესაძლებელია მისი შეფუთვა.
8. მცენარე ორმოში უნდა განთავსდეს კომით, მოსცილდეს შეფუთვა და დაფიქსირდეს.
9. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
10. მცენარის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
11.დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან; (ჭიგოებითა და

თოკებით).
12. სარგავ ორმოში ცარიელი სივრცე ივსება ნიადაგის ნაზავით და ფრთხილად იტკეპნება, რათა არ დაიშალოს კომი და არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება;
13. მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
14. დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯერჯვებამდე;
15. მცენარეთა გადარგვა უნდა განხორციელდეს წლის არასავეგეტაციო პერიოდში, ოქტომბრის მეორე ნახევრიდან ნოემბრის ჩათვლით, ხოლო გაზაფხულზე თებერვალ-მარტის განმავლობაში.

ხე–მცენარის გადარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

1. ხე-მცენარის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან/გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში;
2. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა–გაფხვიერება–განახლება;
3. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების შეტანა და მორწყვა;
4. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
5. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
6. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
7. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ – დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
8. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა–ფორმირების სამუშაოები.

დამოუკიდებელი ექსპერტი:



თამარ თოლორდავა
T - +995 568 48 40 38

დენდრო არქიტექტურა

შპს „დენდრო არქიტექტურა“
ს/კ 400266920
ბანკის კოდი : TBCBGE22
ა/ა GE25TB7473936080100005

Dendro Architecture

DENDRO ARCHITECTURE LLC
I/D 400266920
Bank Code: TBCBGE22
B/I GE25TB7473936080100005

შპს ,,დენდრო არქიტექტურა'' (ს/ნ 400266920) აღნიშნავს, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 18 მარტის N60-01240781314 ნებართვის საფუძველზე განახორციელებს დიდტანოვანი მწვანე ნარგავების გადარგვის სამუშაოებს და ვადასტურებთ, რომ გაგვაჩნია დიდტანიანი ნარგავების გადასარგავად შესაბამისი სპეც ტექნიკა და დიდტანიანი ნარგავების გადარგვის მომსახურებას განვახორციელებთ აგროტექნიკური წესების დაცვით.

პატივისცემით,

დირექტორი

400266920 DENDRO ARCHITECTURE შპს

+995 595747744
dendro.architecture@gmail.com